



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000001521239120

№ 28-ი

04 / სექტემბერი / 2020 წ.

განკარგულება

საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო პლაკატების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გამოსაკრავად განისაზღვროს შემდეგი ადგილები:

ა) კულტ-სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მესერი;

ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სასწავლო აღმზრდელობითი დაწესებულებების კაპიტალური მესერი;

გ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა. აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი;

დ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე -სამი მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებული კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ-მონყობილობებთან არანაკლებ ერთი მეტრის სიახლოვისა.

მუხლი 2

აკრძალულია სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს (მის: ქ.ლაგოდეხი 26 მაისის ქ.№19), პროკურატურის (მის: ქ.ლაგოდეხი დ.თავდადებულის ქ.№11), სამხედრო შენაერთების (მის: სოფელი მანიმი), პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.


მუხლი 3

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

კარლო ჯამბურია